კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მოგება/(ზარალი)	31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019		1 იანვარი 2019	
	+20%	-20%	+20%	-20%	+20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი	11,334	(11,334)	5,504	(5,504)	5,854	(5,854)
ევროს ეფექტი	(604)	604	(691)	691	(1,302)	1,302

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის/კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ჯგუფს/კომპანიას მიღებული და გაცემული სესხები აქვს აღებული ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთით და შესაბამისად საპროცენტო განაკვეთებთან დაკავშირებულ შესაძლო რისკები მისაღებ დონემდეა შემცირებული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ჯგუფი/კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

შპს ფერი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

('000 ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა. ცხრილი მომზადებულია ჯგუფის მენეჯმენტის შიდა ინფორმაციის საფუძველზე.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	ერთ წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
31 დეკემბერი 2020			
მიღებული სესხები	4,441	1,229	5,670
საიჯარო ვალდებულებები	112	508	620
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,275	-	8,275
	12,828	1,737	14,565
31 დეკემბერი 2019			
მიღებული სესხები	4,789	-	4,789
საიჯარო ვალდებულებები	243	112	355
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,069	-	7,069
	12,101	112	12,213
1 იანვარი 2019			
მიღებული სესხები	7,644	-	7,644
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14,578	-	14,578
	22,222	-	22,222

რეალური ღირებულების იერარქია

ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განისაზღვრა შეფასების 1 დონით, მიღებული და გაცემული სესხების რეალური ღირებულება განისაზღვრა შეფასების მე-2 დონით, ხოლო სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება განისაზღვრა შეფასების მე-3 დონით.

კაპიტალის მართვა

ჯგუფი კაპიტალი მოიცავს ჩვეულებრივ საწესდებო კაპიტალს და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებას. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მისი როლი, როგორც კორპორატიული ხელმძღვანელების, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას ჯგუფი მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს აქციონერებისათვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

შპს ფერი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

('000 ლარში)

5. შესადარისი რიცხვების გადაანგარიშების ეფექტი

ჯგუფის/კომპანიის ასოცირებულმა კომპანიამ შპს ენერგიამ გადაიანგარიშა 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების შესადარისი მონაცემები. ამან მოახდინა გავლენა ჯგუფის/კომპანიის შესადარისი მონაცემებზე. გადაანგარიშების ეფექტი წლების მიხედვით მოცემული ქვემოთ:

	გადაანგარიშებამდე 31 დეკემბერი 2019	კორექტირება	გადაანგარიშებული 31 დეკემბერი 2019
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
ინვესტიციები	24,630	(3,255)	21,375
გაუნაწილებელი მოგება	(95,886)	3,255	(92,631)
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
ასოცირებული და ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოების მოგების წილი	906	(442)	464

	გადაანგარიშებამდე 1 იანვარი 2019	კორექტირება	გადაანგარიშებული 1 იანვარი 2019
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
ინვესტიციები	21,970	(2,813)	19,157
გაუნაწილებელი მოგება	(101,381)	2,813	(98,568)

6. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური დეზაგრეგირებული ამონაგები კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
დროთა განმავლობაში		
სამშენებლო მომსახურებები	28,725	32,161
დროის გარკვეულ მომენტში		
ელექტროენერგიის გაყიდვა	3,829	3,764
	32,554	35,925

სამშენებლო მომსახურებებში შედის დაპროექტება, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები საქართველოს მასშტაბით. ყველაზე ხშირად სამშენებლო ხელშეკრულებები მოიცავს მხოლოდ ერთ შესასრულებელ ვალდებულებას. სამშენებლო სამუშაოებში შესასრულებელი ვალდებულება მოიცავს სამშენებლო კონტრაქტს ან გასაწევ მომსახურებას. შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში, საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რაც განისაზღვრება აღნიშნული თარიღისათვის გაწეული საკონტრაქტო დანახარჯების მთლიან დანახარჯებთან შეფარდების პროპორციით (გამოყენებული რესურსების მეთოდით).

ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს ჯგუფის/კომპანიის მფლობელობაში არსებული ხადორის ჰესის მიერ გამოუმუშავებული ელექტროენერგიის გაყიდვას. შესასრულებელი ვალდებულება კმაყოფილდება დროის იმ მომენტში, როდესაც კონტროლი გადადის მომხმარებელზე, ზოგადად მიწოდების დროს.

ჯგუფის/კომპანიის მომავალში მისაღები შემოსავლები სამშენებლო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით დარჩენილი შესასრულებელი ვალდებულებებიდან, რომლებიც დაიწყო და არ დასრულებულა 2020 წლის 31 დეკემბერს: 2021 წელს შეადგენს 35,068 ლარს, ხოლო ერთ გრძელვადიან ხელშეკრულებაზე 2021-2025 წლებში მიიღებს 179,106 ლარის შემოსავალს. შესასრულებელი ვალდებულებებიდან, რომლებიც დაიწყო და არ დასრულებულა 2019 წლის 31 დეკემბერს 2020-2021 წლებში შეადგენს 33,067 ლარს.

სახელშეკრულებო აქტივი და სახელშეკრულებლო ვალდებულება წარმოიშობა კომპანიის საქმიანობიდან, რომელიც მოიცავს ხელშეკრულებებს, რომლებსაც რამდენიმე წელი დაჭირდება დასასრულებლად, იმიტომ, რომ მომხმარებლისგან მიღებული ანაზღაურება ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ არის აუცილებელი უდრიდეს ხელშეკრულებებით აღიარებულ შემოსავალს.

შპს ფერი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

('000 ლარში)

6. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური სახელშეკრულებო აქტივებისა და ვალდებულებების შეჯერება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სახელშეკრულებო აქტივი	სახელშეკრულებო ვალდებულება	
	2020	2020	2019
1 იანვარი	-	(12,451)	(17,335)
ამონაგებში აღიარებული თანხები, რომლითაც ამონაგები მეტია ფულის მოთხოვნის უფლებაზე	972	-	-
სახელშეკრულებო ვალდებულებებში აღრიცხული თანხები, რომლებიც აღიარდა შემოსავლად წლის განმავლობაში	-	22,398	9,937
პროცენტი საკონტრაქტო ვალდებულებებზე	-	(678)	(167)
მიღებული ანაზღაურება ავანსად	-	(47,434)	(4,886)
31 დეკემბერი	972	(38,165)	(12,451)

7. პირდაპირი ხარჯები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური:

	2020	2019
ხელფასები	(6,368)	(4,514)
მესამე მხარის მომსახურებები	(4,657)	(2,596)
ნედლეული და მასალები	(3,789)	(6,670)
საწვავი	(2,860)	(1,951)
იჯარა	(1,736)	(756)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,670)	(1,831)
სხვა	(2,516)	(1,936)
	(23,596)	(20,254)

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური პირდაპირი ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არიან იმ ტიპის შემოსავლებთან, რომლებიც წარდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
სამშენებლო ხელშეკრულებები	(23,407)	(20,070)
ელექტროენერგიის გაყიდვა	(189)	(184)
	(23,596)	(20,254)

8. სხვა შემოსავლები

2020 წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური სხვა შემოსავლები ძირითადად წარმოდგენილია შემდეგი ოპერაციით:

კომპანია იყო განმცხადებელი მხარე სასამართლო დავაზე. დავის მიზეზი იყო 2017 წლის 1 დეკემბერს ASTALDI SOCIETA PER AZIONI-თან (ქვეკონტრაქტორთან) გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც კომპანიას უნდა შეესრულებინა და დაესრულებინა ქვეკონტრაქტორის სამუშაოები (ზემო-ოსიურისა და ჩუმათელეთში E-60 ავტომაგისტრალის სამშენებლო სამუშაოები). ASTALDI SOCIETA PER AZIONI-მ დაარღვია პირობები საწყის ეტაპზე - ხელშეკრულების გაფორმებიდან რამდენიმე თვეში გაკოტრების გამო. საქართველოს სასამართლომ მისი საბანკო ანგარიშები დააყადაღა და საქმე გადასცა საფრანგეთის არბიტრაჟს, რომელმაც 2020 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაუკმაყოფილა კომპანიის სარჩელი და დააკისრა ASTALDI SOCIETA PER AZIONI-ს გადასახდელი თანხა. სრული ანაზღაურების თანხამ შეადგინა 16,908 ლარი.

2020 წლის დარჩენილი ნაწილი და 2019 წლის სხვა შემოსავალი წარმოადგენს შემოსავალს როგორცაა სატრანსპორტო მომსახურება, ტექნიკის იჯარა, ღვინოს რეალიზაცია და სხვა.

შპს ფერი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

('000 ლარში)

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური:

	2020	2019
პროფესიული მომსახურების ხარჯები*	(2,656)	(1,793)
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა სარგებელი	(1,511)	(1,140)
ცვეთა და ამორტიზაცია	(542)	(343)
აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაცია	(90)	(94)
კომუნალურები	(69)	(67)
სხვა	(475)	(553)
	(5,343)	(3,990)

*აუდიტის ხარჯი 2020 და 2019 წლებში შეადგენდა 60 და 53 ლარს, შესაბამისად.

უმალესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება განმარტებულია მე-20 შენიშვნაში.

10. სხვა ხარჯები

	2020	2019
ინდივიდუალური		
მოცდენის ხარჯები*	(6,234)	(10,295)
სხვა	(1,338)	(972)
სულ ინდივიდუალური	(7,572)	(11,267)
ვენახის მოვლის ხარჯები	(413)	-
სულ კონსოლიდირებული	(7,985)	(11,267)

* მოცდენის ხარჯები მოიცავს ხელფასებს, ცვეთას და ქონების გადასახადს იმ ძირითადი საშუალებების რომლებიც უმოქმედოდ იყო წლის განმავლობაში.

შპს ფერი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

('000 ლარში)

11. ძირითადი საშუალებები

ინდივიდუალური ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	ტექნიკური აღჭურვილობა და დანადგარები	გვირაბის საბურღი მანქანები	ავტომობილები	მიწა	შენობები და ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა	სულ
2019 წლის 1 იანვარი	10,941	33,786	20,793	2,086	7,391	1,417	1,103	77,517
შემოსვლა	1,821	-	102	63	28	584	595	3,193
გასვლა	(38)	-	(240)	(23)	-	-	-	(301)
2019 წლის 31 დეკემბერი	12,724	33,786	20,655	2,126	7,419	2,001	1,698	80,409
შემოსვლა	1,765	-	113	121	6	-	24	2,029
დაუმთავრებელი მშენებლობიდან გადმოტანა	-	-	-	-	2,001	(2,001)	-	-
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში	-	-	-	(512)	-	-	(557)	(1,069)
გასვლა	(1,222)	-	(41)	-	-	-	(20)	(1,283)
2020 წლის 31 დეკემბერი	13,267	33,786	20,727	1,735	9,426	-	1,145	80,086
დაგროვილი ცვეთა								
2019 წლის 1 იანვარი	(4,164)	(10,790)	(9,754)	-	(1,547)	-	(403)	(26,658)
ცვეთა	(1,150)	(2,738)	(1,605)	-	(379)	-	(103)	(5,975)
გასვლა	26	-	215	-	-	-	-	241
2019 წლის 31 დეკემბერი	(5,288)	(13,528)	(11,144)	-	(1,926)	-	(506)	(32,392)
ცვეთა	(1,369)	(2,386)	(1,614)	-	(415)	-	(134)	(5,918)
გასვლა	329	-	30	-	-	-	11	370
2020 წლის 31 დეკემბერი	(6,328)	(15,914)	(12,728)	-	(2,341)	-	(629)	(37,940)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
2019 წლის 1 იანვარი	6,777	22,996	11,039	2,086	5,844	1,417	700	50,859
2019 წლის 31 დეკემბერი	7,436	20,258	9,511	2,126	5,493	2,001	1,192	48,017
2020 წლის 31 დეკემბერი	6,939	17,872	7,999	1,735	7,085	-	516	42,146

2019 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით ინდივიდუალური და კონსოლიდირებული ძირითადი საშუალებები იდენტურია. 2020 წელს შპს ფერმა შეიტანა მიწები და ვენახები შვილობილ კომპანიაში საბალანსო ღირებულებით, შედეგად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ისტორიული და საბალანსო ღირებულება აღემატება ინდივიდუალურს 1,075 ლარით.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა ძირითადი საშუალება ჩადებული იყო ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფაში.

შპს ფერი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

('000 ლარში)

12. ინვესტიციები

ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები წარმოდგენილია შემდეგ კომპანიებში. ასოცირებული და ერთობლივად კონტროლირებადი კომპანიები აღრიცხულია წილობრივი მეთოდით, ხოლო წილობრივი ინსტრუმენტი თვითღირებულებით:

კონსოლიდირებული ინვესტიციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ასოცირებული			
შპს ენერგია	30%	30%	30%
ერთობლივად კონტროლირებადი			
სს დარიალი ენერჯი	-	31.38%	31.38%
სს სუფსა ენერჯი	50%	50%	50%
სს ონის კასკადი	55%	55%	55%
წილობრივი ინსტრუმენტი			
შპს საინვესტიციო ჯგუფი ენერგია	16.67%	-	-

ინდივიდუალური ინვესტიციები დამატებით მოიცავს შვილობილი კომპანიის, შპს ფერი ვაინის, 100%-იან წილს.

კომპანიას, მის ასოცირებულ და ერთობლივად კონტროლირებად კომპანიებს, ასევე შვილობილ კომპანიებს აქვთ იგივე საანგარიშო პერიოდი. საკონტრაქტო შეთანხმებები უზრუნველყოფს კომპანიის უფლებებს ერთობლივი საწარმოების წმინდა აქტივებში.

შპს ენერგიის ძირითადი საქმიანობა არის ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია. საანგარიშო პერიოდში კომპანია ოპერირებს ორ ჰესს, რომლებიც განლაგებულია საქართველოს რეგიონებში, რომელთა სიმძლავრე არის 24 მეგავატი.

ჯგუფმა/კომპანიამ 2020 წლის 27 აპრილს გაყიდა წილი სს დარიალი ენერჯიში.

სს ონი კასკადის ძირითადი საქმიანობა იქნება ელექტროენერგიის წარმოება. მისი ძირითადი აქტივი, რომლის მშენებლობა არ დაწყებულა, იქნება 206.16 მვტ მოცულობის და ყოველწლიური 780.2 გჰვტ წარმოებული ელექტროენერგიის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც აშენდება ონის რაიონში, საქართველო.

ინვესტიციების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	შენატანები	ინვესტიციის გასვლა	მოგების (ზარალის) წილი	31 დეკემბერი 2020
ასოცირებული					
შპს ენერგია**	3,472	-	-	1,588	5,060
ერთობლივად კონტროლირებადი					
სს დარიალი ენერჯი*	17,575	-	(17,575)	-	-
სს სუფსა ენერჯი	328	65	-	(161)	232
სს ონი კასკადი	-	295	-	(268)	27
წილობრივი ინსტრუმენტი					
შპს საინვესტიციო ჯგუფი ენერგია	-	2,399	-	-	2,399
სულ კონსოლიდირებული ინვესტიცია	21,375	2,759	(17,575)	1,159	7,718
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში					
შპს ფერი ვაინ	-	1,529	-	-	1,529
სულ ინდივიდუალური ინვესტიცია	21,375	4,288	(17,575)	1,159	9,247

შპს ფერი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

('000 ლარში)

12. ინვესტიციები (გაგრძელება)

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ასოცირებული	1 იანვარი 2019	შენატანები	მოგების (ზარალის) წილი	31 დეკემბერი 2019
შპს ენერგია	3,136	162	174	3,472
ერთობლივად კონტროლირებადი				
სს დარიალი ენერჯი*	15,722	-	1,853	17,575
სს სუფსა ენერჯი	298	30	-	328
სს ონი კასკადი	1	1,562	(1,563)	-
	19,157	1,754	464	21,375

ერთობლივი საწარმოების ფინანსური ინფორმაცია არ არის განმარტებული მათი არარსებობის გამო. ასოცირებული საწარმოს ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
აქტივები	105,388	88,466	87,828
ვალდებულებები	(95,200)	(77,301)	(74,861)
შემოსავლები	14,822	13,821	-
წლის მოგება	5,294	581	-

13. გაცემული სესხები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
სს დარიალი ენერჯი	11,040	23,318	20,449
შპს ენერგია	30,072	4,723	2,722
სხვა	409	-	-
გაუფასურების რეზერვი	(473)	(316)	(209)
	41,048	27,725	22,962

სახელშეკრულებო შეთანხმებით საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია 7-14% ფარგლებში.

დაკავშირებულ მხარესთან შპს ენერგიასთან საწყისი აღიარების შემდგომ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი და ჯგუფმა/კომპანიამ აღიარა 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 1%-ის ოდენობით.

კომპანია არ ფლობს რაიმე სახის უზრუნველყოფას. გაცემული სესხების დაყოფა ვალუტების მიხედვით და ლიკვიდურობა წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

დეტალური ინფორმაცია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვის შესახებ მოცემულია მე-16 შენიშვნაში.

	2020	2019
საპროცენტო შემოსავლები	2,183	1,936
დისკონტირების ეფექტის ამობრუნება	646	-
მიღებული სესხების მოდიფიკაციის ეფექტი	-	(372)
	2,829	1,564

14. მარაგები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ნედლეული და მასალები	11,074	6,704	11,109
საწვავი	414	377	225
ღვინო	325	583	333
სხვა	1,636	916	1,028
	13,449	8,580	12,695

შპს ფერი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

('000 ლარში)

15. გაცემული ავანსები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
გრძელვადიანი ავანსები			
საერთაშორისო მომწოდებლებთან	8,324	-	-
მოკლევადიანი ავანსები			
საერთაშორისო მომწოდებლებთან	353	633	2,767
ადგილობრივ მომწოდებლებთან	2,748	552	868
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	-	612
სხვა გადახდილი ავანსები	853	260	102
გაუფასურების რეზერვი	(922)	(950)	(1,894)
	3,032	495	2,455

ცვლილებები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური გადახდილი ავანსების გაუფასურების რეზერვში:

	2020	2019
ნაშთი წლის დასაწყისში	(950)	(1,894)
რეზერვის ზრდა	-	(424)
რეზერვის შემცირება	28	13
გაუფასურების რეზერვის ხარჯი	(922)	(411)
წლის განმავლობაში ჩამოწერები	-	1,355
ნაშთი წლის ბოლოს	(922)	(950)

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
გრძელვადიანი			
სავაჭრო მოთხოვნები*	931	386	15,202
მოკლევადიანი			
სადაზღვევო კომპანიებთან არსებული მოთხოვნები	-	-	12,312
სავაჭრო მოთხოვნები	11,896	8,823	784
სხვა მოთხოვნები	12,530	502	826
გაუფასურების რეზერვი	(872)	(1,425)	(977)
	23,554	7,900	12,945
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24,485	8,286	28,147

*გრძელვადიან სავაჭრო მოთხოვნებში შედის საგარანტიო თანხები სამშენებლო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით.

ჯგუფი არ ფლობს რაიმე სახის უზრუნველყოფას. ფინანსური აქტივების დაყოფა ლიკვიდობისა და ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ჯგუფმა/კომპანიამ მხოლოდ 2020 წლის 31 დეკემბრისთვის გაუფასურებაზე ინდივიდუალურად იმსჯელა 18,106 ლარის მოთხოვნებზე და დაარიცხა 759 ლარის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. დანარჩენ მოთხოვნებზე ჯგუფმა/კომპანიამ იმსჯელა ჯგუფურად.

შპს ფერი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

('000 ლარში)

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები (ჯგუფურად ნამსჯელი) შეადგენს:

2020 წლის 31 დეკემბრისთვის:

	ვადაგადაცილება დღეებში					სულ
	მიმდინარე	>30	>90	>180	>360	
ზარალის განაკვეთი	1.15%-1.25%	11.5%	28.75%	57.5%	100%	
საბალანსო ღირებულება	7,143	39	58	5	6	7,251
გაუფასურების რეზერვი	82	5	17	3	6	113

	ვადაგადაცილება დღეებში					სულ
	მიმდინარე	1-30	31-60	61-120	121-180	
ზარალის განაკვეთი	1%	3%	10%	50%	70%	100%

31 დეკემბერი 2019

საბალანსო ღირებულება	8,302	2	54	19	22	1,312	9,711
გაუფასურების რეზერვი	83	0.06	5	10	15	1,312	1,425

1 იანვარი 2019

საბალანსო ღირებულება	28,152	15	177	61	240	479	29,124
გაუფასურების რეზერვი	281	0.5	18	31	168	479	977

2020 წელს ცვლილებები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვში:

	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	გაცემული სესხები	სულ
1 იანვარი	(1,425)	(316)	(1,741)
ზრდა	-	(157)	(157)
გამოუყენებელი რეზერვები	553	-	553
წლის გაუფასურების ზარალები	553	(157)	396
31 დეკემბრის	(872)	(473)	(1,345)

2019 წელს ცვლილებები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვში:

	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	გაცემული სესხები	სულ
1 იანვარი	(977)	(209)	(1,186)
ზრდა	(934)	(107)	(1,041)
გამოუყენებელი რეზერვები	486	-	486
წლის გაუფასურების ზარალები	(448)	(107)	(555)
31 დეკემბერი	(1,425)	(316)	(1,741)

17. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავს ბანკში, მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს.

ფული და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

შპს ფერი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

('000 ლარში)

18. მიღებული სესხები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტი	5,663	4,608	7,443
მფლობელი	7	7	201
სხვა	-	174	-
	5,670	4,789	7,644

ყველა მიღებული სესხი არის ფიქსირებულ პროცენტში და განსაზღვრულია 7-დან 8%-მდე. მიღებული სესხების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის/ჯგუფის ძირითადი საშუალებებით.

ფინანსური ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ვალდებულებების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1 იანვარი	4,789	7,644
ფულადი მუხლები		
სესხის აღება	2,232	9,487
ძირის დაფარვა	(2,350)	(13,106)
პროცენტის დაფარვა	(256)	(618)
არაფულადი მუხლები		
საკუროს სხვაობის ეფექტი	995	766
საპროცენტო ხარჯი, წარდგენილი მოგება ან ზარალი	260	616
31 დეკემბერი	5,670	4,789

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
საპროცენტო ხარჯები:		
მიღებულ სესხებზე	(260)	(616)
საიჯარო ვალდებულებებზე	(54)	(40)
დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტზე	(679)	(166)
	(993)	(822)

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ვალდებულებები მომწოდებლებთან	6,212	5,580	5,419
ვალდებულებები ქვეკონტრაქტორებთან	776	583	7,955
სახელფასო ვალდებულებები	655	518	585
სხვა ვალდებულებები	632	388	619
	8,275	7,069	14,578

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

შპს ფერი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

('000 ლარში)

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის დაკავშირებულ მხარეებთან, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ასოცირებული საწარმო	სხვა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
გაცემული სესხები	29,726	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	(143)
საიჯარო ვალდებულებები	-	(278)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

პირდაპირი ხარჯები	(32)	-
საპროცენტო ხარჯი	-	(30)
ფინანსური შემოსავალი	309	-

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის დაკავშირებულ მხარეებთან, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ასოცირებული საწარმო	ერთობლივად კონტროლირებადი	სხვა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	432	-
გაცემული სესხები	4,649	23,076	-
საიჯარო ვალდებულებები	-	-	(198)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

პირდაპირი ხარჯები	(32)	-	(367)
საპროცენტო ხარჯი	-	-	(40)
სხვა შემოსავალი	-	34	27
ფინანსური შემოსავალი	180	1,384	-

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის დაკავშირებულ მხარეებთან, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ნაშთები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მფლობელი	ასოცირებული საწარმო	ერთობლივად კონტროლირებადი	სხვა
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	176	481	-
გაცემული სესხები	-	2,722	20,240	-
მიღებული სესხები	201	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	-	474

უმაღლესი ხელმძღვანელობის მოკლევადიანი ანაზღაურება 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის შეადგენდა 279 და 253 ლარს, წლების შესაბამისად.

21. პირობითი ვალდებულებები

შეთანხმება ერთობლივ საწარმოსთან

2017 წლის 16 მაისის გაფორმებული მფლობელების შეთანხმების ხელშეკრულების თანახმად, აქციონერები თანხმდებიან რომ შეთანხმების თარიღისთვის და შემდგომი 3 წლის განმავლობაში შპს ფერი აღიარებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შპს ონი ჰოლდინგს სხვაობა (დანაკლისი) იმ შემთხვევაში, თუ მის საკუთრებაში არსებული აქციების ნასყიდობის ფასი იქნება ინვესტორის დაგეგმილ გასვლის ღირებულებაზე ნაკლები, ასეთი სხვაობის (დანაკლისის) ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს შპს „ონი ჰოლდინგის“ (შემდგომი ინვესტორი) გარანტირებული ფასის შეზღუდული ღირებულებისა. იმავე მიზეზების გამო, შპს ფერს შეუძლია ინვესტორს ანაზღაურებადი თანხა მიაწოდოს მხოლოდ შემდეგი გზებით 1. ისეთი დივიდენდების გაცემით, რომელიც ინვესტორს ეკუთვნის კომპანიისგან, 2. ნებისმიერი მოგება (ზარალით), რომელსაც ინვესტორი მიიღებს შპს ფერში კაპიტალური დაბანდებიდან აქციების გადაცემის დროს, ორივე შემთხვევაში მხოლოდ შეზღუდული ფასის გარანტიის ღირებულებით.

ინვესტორისთვის ბიზნესიდან გასვლის დაგეგმილი ღირებულება უნდა წარმოადგენდეს ინვესტორის მიერ ფლობილ წილს დამატებული ა) ინვესტორის კაპიტალური დაბანდება ბ) დარიცხული წლიური 17% , დაგროვებული და კაპიტალიზირებული წლიურად ინვესტორის კაპიტალური დაბანდების თანხაზე და გამოკლებული გ) ინვესტორის მიერ კომპანიისგან კაპიტალურ დაბანდებიდან მიღებულ ნებისმიერ დივიდენდზე დ) დარიცხული წლიური 17%, დაგროვებული და კაპიტალიზირებული წლიურად ასეთი დივიდენდის თანხაზე.

შეზღუდული ფასის გარანტიის ღირებულება უნდა წარმოადგენდეს ისეთ ანაზღაურებად ოდენობას რომ, როდესაც ინვესტორი მიიღებს აღნიშნულს, გაიზრდება ინვესტორის კაპიტალის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ინვესტორის სამიზნე ეფექტურ საპროცენტო განაკვეთამდე, ისეთი რეალიზაციის დროს, სადაც ჩართულია შუამავალი მხარე. თუმცა, პროცენტული სხვაობა ინვესტორის სამიზნე ეფექტურ საპროცენტო განაკვეთსა და ინვესტორის კაპიტალის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს შორის, რომელიც უნდა აანაზღაუროს შპს ფერმა, არ უნდა აღემატებოდეს 4%-ს.

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც ჯგუფს თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

დივიდენდების განაწილება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, დივიდენდების გაცემის შემთხვევაში გადასახადელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 18,102 ლარი.

22. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არამაკორექტირებელი მოვლენები

- 2021 წლის იანვარსა და მარტში სს დარიალი ენერჯიმ ორი ტრანშით (8,072,318 და 2,818,797 ლარი), ჯგუფს/კომპანიას წინსწრებით სრულად დაუფარა გაცემული სესხი.
- 2021 წლის 31 დეკემბერს შპს ენერგიამ წინსწრებით სრულად დაუფარა ჯგუფის/კომპანიის გაცემული სესხი 8 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.
- 2021 წლის განმავლობაში ჯგუფმა/კომპანიამ ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტისგან აიღო სესხები ჯამურად 23,640,000 აშშ დოლარის ოდენობით, დაფარვის ვადით 2-დან 5 წლამდე. მიღებული სესხებით დაფარა ამავე ფინანსურ ინსტიტუტთან არსებული სასესხო ვალდებულებები ჯამურად - 30,986,069 ლარის ოდენობით.
- 2021 წლის 29 იანვარს ჩატარდა პარტნიორთა კრება, რომლის გადაწყვეტილებით გამოცხადდა დივიდენდების გაცემა ჯამურად 6,872,640 ლარის ოდენობით, რომლის ნაწილი გადახდილი იქნა 2021 წლის განმავლობაში და ნაწილი 2022 წლის იანვარში.
- 2021 წლის განმავლობაში ჯგუფმა/კომპანიამ შვილობილი კომპანიის კაპიტალში (შპს ფერი ვაინ) განახორციელა ფულადი შენატანები 1,141,200 ლარის ოდენობით.
- 2021 წლის 21 ივლისს ჯგუფმა/კომპანიამ შეიძინა სს ონი კასკადი-ს აქციები სრულად სხვა აქციონერისგან და გახდა კომპანიის ერთადერთი აქციონერი, 100%-იანი წილით.
- შპს ფერმა 2021 წელს დააფუძნა ორი შვილობილი კომპანია: შპს ხუმპრერი ჰესი (90%) და შპს ხუმფრერი (100%) ჰესი. არც ერთ კომპანიას არ დაუწყია საქმიანობა.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის თუ დამატებით სხვა რამ არ არის მითითებული.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს დედა კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც დედა კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

დედა კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებები მომხდარი.

იმის შეფასებისას, დედა კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, დედა კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- დედა კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზნევისთან შედარებით;
- დედა კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ დედა კომპანიას ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღება საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორების კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც დედა კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც იგი კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ,

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც დედა კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც დედა კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

შიდაჯგუფური სამეურნეო ოპერაციების შედეგები და ნაშთები, ასევე შიდაჯგუფური ტრანზაქციებით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ელიმინირდება კონსოლიდაციის მიზნებისთვის.

ერთობლივი საქმიანობა

ხელშეკრულებით დადგენილი ერთობლივი კონტროლის უფლება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც რელევანტურ საქმიანობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება საჭიროებს ერთობლივად მაკონტროლებელ მხარეთა ერთსულოვან თანხმობას.

კომპანია თავის წილს ერთობლივ საქმიანობაში აკლასიფიცირებს როგორც:

- ერთობლივი საწარმო: სადაც კომპანიას გააჩნია ერთობლივი კონტროლი საქმიანობაზე, აქვს უფლებები ამ საქმიანობის წმინდა აქტივებზე.
- ერთობლივი ოპერაცია: სადაც კომპანია რომელიც ერთობლივ კონტროლს ახორციელებს საქმიანობაზე, გააჩნია ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტივებზე უფლებები და პასუხისმგებლობა ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე.

ერთობლივი საქმიანობის კლასიფიცირებისთვის კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს:

- ერთობლივი საქმიანობის სტრუქტურა;
- განცალკევებული სუბიექტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა;
- სახელშეკრულებო შეთანხმების პირობები;
- თუ აუცილებელია, სხვა ფაქტორები და გარემოებები.

კომპანია ერთობლივ საქმიანობაში წილს აღრიცხავს წილობრივი მეთოდით. წილობრივი მეთოდს კომპანია იყენებს იმავე პრინციპით, როგორც ეს ასოცირებული კომპანიის შემთხვევაში ხდება. თუ არის საფუძვლიანი რწმუნება რომ ინვესტიცია ერთობლივად კონტროლირებად საწარმოში არის გაუფასურებული, მაშინ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე იტესტება ისევე როგორც ეს ხდება არაფინანსური აქტივების შემთხვევაში (გარდა მარაგებისა).

ასოცირებული საწარმო

სადაც კომპანიას აქვს გავლენა (და არა კონტროლი), საწარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში, კლასიფიცირდება როგორც ასოცირებული საწარმო, რომელიც საწყისი აღიარებისას წარდგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში თვითღირებულებით. კომპანია ასოცირებულ საწარმოში წილს შემდგომში აღრიცხავს წილობრივი მეთოდით. წილობრივი მეთოდის თანახმად, ასოცირებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით და შემდგომში მისი საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება, რათა აისახოს შეძენის თარიღის შემდგომ პერიოდში ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში ან ზარალში.

ინვესტორის წილი ინვესტირებული საწარმოს მოგებაში, ან ზარალში აღიარდება ინვესტორის მოგებაში, ან ზარალში. ინვესტირებული საწარმოდან დივიდენდების ან სხვა სახის განაწილებული თანხების მიღება ამცირებს ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას.

ინვესტიციის საბალანსო ღირებულების კორექტირება შეიძლება აუცილებელი გახდეს აგრეთვე ინვესტირებულ საწარმოში ინვესტორის კუთვნილი პროპორციული წილის ცვლილების გასათვალისწინებლად, რასაც იწვევს ინვესტირებული საწარმოს სხვა სრული შემოსავლის ცვლილება.

თუ არის საფუძვლიანი რწმუნება რომ ინვესტიცია ასოცირებულ საწარმოში არის გაუფასურებული, მაშინ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე იტესტება ისევე როგორც ეს ხდება არაფინანსური აქტივების შემთხვევაში (გარდა მარაგებისა).

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების დროულობა

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება, მიუხედავად იმისა როდის მოხდება ანაზღაურება. შემოსავლის შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების საფუძველზე, გადასახადების გამოკლებით.

კომპანიის შემოსავლები მოიცავს:

სამშენებლო მომსახურებებში შედის დაპროექტება, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოები საქართველოს მასშტაბით. ყველაზე ხშირად სამშენებლო ხელშეკრულებები მოიცავს მხოლოდ ერთ შესასრულებელ ვალდებულებას. სამშენებლო სამუშაოებში შესასრულებელი ვალდებულება მოიცავს სამშენებლო ხელშეკრულებას ან გასაწევ მომსახურებას.

შემოსავალი აღიარდება დროთა განმავლობაში, საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რაც განისაზღვრება აღნიშნული თარიღისათვის გაწეული საკონტრაქტო დანახარჯების მთლიან დანახარჯებთან შეფარდების პროპორციით (გამოყენებული რესურსების მეთოდით) ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს კომპანიის მფლობელობაში არსებული ხადორის ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის გაყიდვას. შესასრულებელი ვალდებულება კმაყოფილება დროის იმ მომენტში, როდესაც აქტივზე კონტროლი გადადის მომხმარებელზე, ზოგადად მიწოდების დროს.

ყველა შეთანხმებაში კომპანია არის მარწმუნებელი და შემოსავალს აღიარებს მთლიანი ანაზღაურებით .

კომპანიისთვის არის ჩვეულებრივი მომენტი მშენებლობასთან დაკავშირებით გასცეს გარანტიები (ხელშეკრულების, კანონმდებლობის ან კომპანიის ჩვეულებრივი ბიზნეს პრაქტიკის შესაბამისად).

კომპანიას არ გააჩნია გარანტიის ცალკე შეძენის საშუალება, აქედან გამომდინარე კომპანია გარანტიებს ასახავს ბასს 37-ის - „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ - შესაბამისად, ისეთი შემთხვევების გარდა, როდესაც დაპირებული გარანტია, ან დაპირებული გარანტიის ნაწილი, მომხმარებელს გარკვეული მომსახურებითაც უზრუნველყოფს, გარდა იმისა, რომ უზრუნველყოფს რწმუნებით იმის შესახებ, რომ პროდუქტი შეთანხმებულ სპეციფიკაციებს შეესაბამება.

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანია შემოსავლებს იღებს ფიქსირებული ფასით განსაზღვრული ხელშეკრულებებიდან, რომელიც დამოკიდებულია შესრულებულ ვალდებულებებზე კონკრეტულ თარიღში აქედან გამომდინარე შემოსავალი მიღებული თითოეული შემოსავლიდან განისაზღვრება ფიქსირებული ფასებით. თუ შესაძლებელია სამშენებლო კონტრაქტების შედეგების საიმედოდ შეფასება, სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული შემოსავალი და ხარჯები აღიარდება საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რაც განისაზღვრება აღნიშნული თარიღისათვის გაწეული საკონტრაქტო დანახარჯების მთლიან დანახარჯებთან შეფარდების პროპორციით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი მეთოდი ვერ ასახავს შესრულებული სამუშაოების რეალურ ღირებულებას.

ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე ანგარიშსწორების მიღება ხორციელდება ძირითადად 30 დღის ვადაში. კომპანიას არ აქვს არცერთი ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს ცვალებად ანაზღაურებას.

სამშენებლო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ავანსები არ განიხილება როგორც დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტი, გარდა ერთი კონტრაქტისა, იქიდან გამომდინარე, რომ ხელშეკრულებების მიხედვით ავანსები იქვითება დასრულების სტადიის დროს, რომელიც ერთ წელზე ნაკლებია. აღნიშნული ერთი კონტრაქტის შემთხვევაში კი ჯგუფმა მიიღო ავანსი რომლის შესაბამისი მომსახურების გადაცემის ვადა 1 წელზე მეტია.

ჯგუფი აფასებს ამონაგების თანხას პროდუქტის მიწოდების დროს დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტის კალკულაციით, რომელიც დათვლილია იმ საპროცენტო განაკვეთით, რომლითაც მოხდებოდა კლიენტისგან ფინანსური სახსრების სესხება.

სამშენებლო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საგარანტიო თანხები არ განიხილება როგორც დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტი, რადგან ფასს 15-ის 62 (გ) პუნქტის კრიტერიუმი კმაყოფილდება:

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაპირებულ ანაზღაურებასა და საქონლის ან მომსახურების მიმდინარე გასაყიდ ფასს შორის სხვაობა წარმოიქმნება მომხმარებლის ან საწარმოს დაფინანსების გარდა სხვა მიზეზების გამო და ზემოაღნიშნულ თანხებს შორის სხვაობა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია განსხვავების მიზეზთან. მაგალითად, გადახდის პირობები შეიძლება კომპანიას ან მომხმარებელს იცავდეს მეორე მხარის უუნარობისგან, სათანადოდ შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზოგიერთი ან ყველა ვალდებულება.

კომპანიას არ აქვს არაფულადი ანაზღაურების შემთხვევები.

გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე

კომპანია ანაწილებს გარიგების ფასს თითოეული შესასრულებელი ვალდებულების მიხედვით, ფიქსირებული ფასების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ყველა მომსახურებასთან დაკავშირებულ საზღაურს.

ხელშეკრულების პირობების შესრულების დანახარჯები

დანახარჯები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ხელშეკრულებასთან მოიცავს გაყიდვებისა და იურიდიული დეპარტამენტების თანამშრომლების ფიქსირებულ ხელფასებს.

აღნიშნული დანახარჯები არ არის აღიარებული როგორც აქტივი და აღიარებულია როგორც ხარჯი, რომელიც წარმოადგენს ისეთ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელსაც საწარმო მაინც გასწევდა, იმის მიუხედავად, გაფორმდებოდა თუ არა ხელშეკრულება.

ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული დანახარჯები არ აღიარდება ცალკე აქტივად, რადგან ასეთი დანახარჯები არის ბასს 16 ძირითადი საშუალებები-ს მოქმედების სფეროში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო დასაქმებულისგან.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ფლობის მიზნიდან გამომდინარე აკლასიფიცირებს ერთ-ერთი კატეგორიის მიხედვით, რომლებიც ქვემოთ არის განხილული. ჯგუფი არ ფლობს ფინანსურ აქტივებს რეალური ღირებულებით მოგება ან ზარალის ასახვით ან რეალური ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ასახვით.

ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

გაუფასურების რეზერვები დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ მოთხოვნებზე და გაცემულ სესხებზე აღიარდება მომავალზე ორიენტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების მოდელის შესაბამისად. მეთოდოლოგია, რომელსაც ჯგუფი იყენებს გაუფასურების რეზერვის განსაზღვრისთვის, დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი. იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ არ გაზარდილა საკრედიტო რისკი, ჯგუფი ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით. იმ ფინანსურ აქტივებზე, რომელთა საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა საკრედიტო რისკი, ჯგუფი ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ბრუტო მეთოდით. იმ აქტივებზე, რომელსაც ჯგუფი განსაზღვრავს, რომ უკვე გაუფასურებულია, ანგარიშობს არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალებს და საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ნეტო მეთოდით.

გაუფასურების ზარალები სავაჭრო მოთხოვნებისთვის და გაცემული სესხებისთვის (არადაკავშირებულ მხარეზე) აღიარდება გამარტივებული მიდგომის შესაბამისად, ფასს 9-ის ფარგლებში ვადაგადაცილებების მატრიცის გამოყენებით იმის დასადგენად, თუ რა არის მიმოქცევის მთელი ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების განაკვეთები განსაზღვრულია ჯგუფის ისტორიული განაკვეთებით 3 წლის განმავლობაში. ჯგუფმა გამოიყენა გამონაკლისი ფასს 9 ის 85.5.50 და 85.5.51 პუნქტების მიხედვით და სავაჭრო მოთხოვნებისთვის არ გამოიყენა საპროგნოზო პერიოდში მოსალოდნელი ფაქტორები. ისტორიული განაკვეთები არ არის დაკორექტირებული.

დროთა განმავლობაში ჯგუფი აწარმოებს მოლაპარაკებებს მომხმარებლებთან მოთხოვნების პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ვისთანაც ჯგუფს ადრე კარგი სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა. ასეთი მოლაპარაკებები დაკავშირებულია გადახდის პირობების გაუმჯობესებასთან და არ ცვლის მისაღები ანაზღაურების ოდენობას. ახალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადები დისკონტირდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად და საბალანსო ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (საოპერაციო მოგება).

მიმდინარე და მომავალზე ორიენტირებული მაკროეკონომიკური ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენენ ჯგუფი მომხმარებლებზე.

ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომლებიც მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებსა და ფული და ფულის ეკვივალენტებს, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტს 3 თვემდე დაფარვის ვადით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს ჯგუფი ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულება მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები. ჯგუფი არ ფლობს სხვა ფინანსური ვალდებულებებს რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მიღებული სესხები, საიჯარო ვალდებულებები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულებით შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულებით შეფასება და განმარტება. ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებით შეფასებისათვის იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. ხარჯები, რომლებიც გამოიყენება რეალური ღირებულების შეფასებისთვის, კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეზე, იმის მიხედვით თუ რამდენად შესაძლებელია ხარჯები არის გამოყენებული შეფასების მეთოდის განსაზღვრისთვის (რეალური ღირებულების იერარქია):

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული)
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს
- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებზე დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს.

მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. მიმდინარე გადასახადის ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები მოგების გადასახადის გარდა

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ყველა ძირითადი საშუალებება და არამატერიალური აქტივი აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალები, არსებობის შემთხვევაში. ცვეთა/ამორტიზაცია ერიცხება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. მიწა არ იცვითება. ჯგუფი იყენებს ცვეთის/ამორტიზაციის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ყველა ჯგუფისათვის, გარდა გვირაბის საბურღი მანქანებისა.

23. მნიშვნელოვანი სადრიცხოვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები)
ტექნიკური აღჭურვილობა და დანადგარები	2_23
ავტომობილები	3_15
შენობები და ნაგებობები	4_25
ვენახი	25
სხვა	5_7

გვირაბის საბურღი მანქანები იცვითება გათხრილი მანძილის მიხედვით (30 კმ მოცულობის), შემდეგი შემცირებადი განაკვეთებით:

ფაქტიურად გათხრილი მანძილი	პირველი 10 კმ	მეორე 10 კმ	საბოლოო 10 კმ
ცვეთის შემცირებადი განაკვეთი	1.5	1	0.5

გვირაბის საბურღი მანქანების მოცდენის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ ეს აქტივები განიცდიან ფიზიკური ცვეთას და ტექნიკური მოძველებას, შესაბამისად აქტივი იცვითება წრფივი დარიცხვის მეთოდით. ძველი და ახალი გვირაბი გამყვანის მანქანებისთვის განსაზღვრულია 12 და 20 სასარგებლო მომსახურების ვადები, შესაბამისად.

სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს, ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულად.

ის ძირითადი საშუალებები, რომლებსაც ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა აქვთ, აღირიცხება როგორც ცალკე ძირითადი საშუალება (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად.

ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და წარდგება საოპერაციო ხარჯებში.

მარაგები

ჯგუფის მარაგებს წარმოადგენს ნედლეული და მასალები, ღვინო და სხვა. მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი წარდგენა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი ბიოლოგიური აქტივები ფასდება ნაყოფის მიღების მომენტისათვის არსებული გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. მარაგების თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი მიმოიხილავს გრძელვადიანი აქტივების (ძირითადი საშუალებები და საინვესტიციო ქონება) საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურებაზე იტესტება აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება. გაუფასურების ზარალი მოგება ზარალში აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ჯგუფი სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირდაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.

ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;

გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანარიცხები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოოდან გასვლა. ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ორგანიზაციამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან: ა) ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი); ბ) კანონმდებლობა; ან გ) სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება ორგანიზაციის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ორგანიზაცია სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, ორგანიზაცია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

შპს ფერი

2020 წლის მმართველობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური
ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

ს/ნ 211352187

საანგარიშო პერიოდი - 2020 წ

სარჩევი

საქმიანობის განვითარების, შედეგების და მდგომარეობის აღწერა	38
ორგანიზაციული სტრუქტურა.....	39
განვითარების გეგმები.....	39
ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ	39
კვლევების და განვითარების სფეროში ინტელექტუალური საკუთრების უფლებები.....	40
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	40
ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა	40
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	40
ძირითადი რისკების და რისკების მართვის პოლიტიკის მიმოხილვა	41

საქმიანობის მიმოხილვა

ს/ნ 211352187

საანგარიშო პერიოდი - 2020 წ

საქმიანობის განვითარების, შედეგების და მდგომარეობის აღწერა

შპს „ფერის“ საქმიანობის საგანია ჰესების, გვირაბების, წყალმომარაგების და წყალგაყვანილობის სისტემების, გადამცემი ანძების, საბაგიროების და სხვა არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა. საქმიანობის მცირე ნაწილს წარმოადგენს საკუთრებაში არსებული ჰესის მეშვეობით ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია. კომპანიის ძირითად დამკვეთებს წარმოადგენენ, სახელმწიფო და მსხვილი კერძო ინვესტორები.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წილებს ფლობს შემდეგ საწარმოებში:

შპს „ენერგია“ – 30%. ფლობს 2 ჰესს და ახორციელებს ელექტროენერგიის წარმოება-რეალიზაციას.

სს „სუფსა ენერჯი“- 50%. ამ კომპანიის მიზანია მდინარე სუფსაზე ჰესის მშენებლობა, შემდგომში ელექტროენერგიის რეალიზაციის მიზნით.

სს „ონი კასკადი“ – 55%. ამ კომპანიის მიზანია მდინარე რიონზე ონის კასკადის მშენებლობა, შემდგომში ელექტროენერგიის რეალიზაციის მიზნით.

კომპანიამ 2020 წელს დააფუძნა შემდეგი შვილობილი კომპანიები და ერთი ასოცირებული კომპანია:

შპს „ფერი ვაინ“- 100%. ამ კომპანიის მიზანია ღვინის წარმოება/რეალიზაცია. შპს ფერიდან კომპანიის კაპიტალში შეტანილია სავანახე მეურნეობა, რომელიც მდებარეობს ლაგოდეხის რაიონში.

შპს ჭალა ჰესი - 85%. კომპანიის მიზანია სვანეთში ჰიდროელექტროსადგურის აშენება, ელ. ენერგიის გენერაცია-რეალიზაცია. 2020 წელს საქმიანობა არ დაუწყო.

შპს მამული ჰესი - 85%. კომპანიის მიზანია სვანეთში ჰიდროელექტროსადგურის აშენება, ელ. ენერგიის გენერაცია-რეალიზაცია. 2020 წელს საქმიანობა არ დაუწყო.

შპს ქართული საინვესტიციო ჯგუფ ენერგია - 16,67%. კომპანიის მიზანია ჩხოროწყის რ-ნში, ხობიჰესი 2-ის მშენებლობა, ელ. ენერგიის გენერაცია-რეალიზაცია.

2020 წელს კომპანიამ მთლიანად გაყიდა თავისი 31,38 %-იანი წილი სს დარიალი ენერჯიში.

კომპანიამ 2021 წელს დააფუძნა ორი შვილობილი კომპანია: შპს ხუმბრერი ჰესი (90%) და შპს ხუმფრერი (100%) ჰესი. არც ერთ კომპანიას არ დაუწყო საქმიანობა.

საქართველოს მიერ ელექტროენერგიის მოხმარება წლიდან წლამდე იზრდება. შესაბამისად, დგას დეფიციტის შევსების საკითხი. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანა არ არის მდიდარი სხვა ენერგომატარებლებით, ჰესების მშენებლობა რჩება პრობლემის გადაჭრის ძირითად ვარიანტად.

ჯგუფს/კომპანიას დიდი ხანია გააზრებული აქვს საქართველოს ენერგო სექტორის პოტენციალი და წინა წლებშიც და მომავალშიც აპირებს აღნიშნულ სფეროში აქტივობებს.

ჯგუფმა/კომპანიამ უკვე ააშენა რამდენიმე საშუალო, და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ერთერთი უდიდესი ჰესი - „დარიალიჰესი“. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით რთული იყო, არამხოლოდ მისი სიდიდის გამო, არამედ მშენებლობა იყო ტექნიკურად ძნელი და მკაცრ ბუნებრივ პირობებში შესასრულებელი.

ჯგუფის/კომპანიის ცენტრალური ოფისი მდებარეობს ქალაქ თბილისში, ჯგუფი/კომპანია აგრეთვე ფლობს შენობა-ნაგებობებს და მიწის ნაკვეთს ზაჰესში. ცენტრალურ ოფისში მუშაობს უმაღლესი მენეჯმენტი, საფინანსო, ბუღალტერიის, საინჟინრო, ენერგეტიკოსების, პროექტების მართვის, HR-ის და შესყიდვების განყოფილებები. აგრეთვე, თბილისში მდებარეობს ცენტრალური საწყობი, სამქრო და მექანიზაციის განყოფილება. ზაჰესში მდებარეობს და მუშაობს საწყობი და მეორე სამქრო. ჯგუფის/კომპანიის საკუთრებაშია აგრეთვე ჰიდროელექტროსადგური ხადორიჰესი 2, რომელიც მდებარეობს ახმეტის რაიონში. ასევე ჯგუფი/კომპანია წარმოდგენილია იმ სამშენებლო ტერიტორიებზე და ობიექტებზე, სადაც ახორციელებს პროექტებს.

2020 წლის განმავლობაში ჯგუფი/კომპანია ახორციელებდა რამდენიმე დიდ პროექტს. ესენია: მტკვარიჰესის გვირაბის სამუშაოები, საჩხერე-ქვემოხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალის საავტომობილო გზის მონაკვეთის (IV ლოტი) მშენებლობა, საჩხერე-ქვემოხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალის საავტომობილო გზის მონაკვეთის (III ლოტი) მშენებლობა, აბასთუმნის წყალარინების მშენებლობა და ხობიჰესი 2-ის მშენებლობა. 2021 წელს ჯგუფს/კომპანიას ჰქონდა შემდეგი მიმდინარე პროექტები: მტკვარიჰესის გვირაბის სამუშაოები, საჩხერე-ქვემოხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალის საავტომობილო გზის მონაკვეთის (IV ლოტი) მშენებლობა, საჩხერე-ქვემოხევი-უზუნთა-შქმერი-ზუდალის საავტომობილო გზის მონაკვეთის (III ლოტი) მშენებლობა და ხობიჰესი 2-ის მშენებლობა. 2022 წელს ჯგუფს/კომპანიას აქვს შემდეგი მიმდინარე პროექტები: მტკვარიჰესის გვირაბის სამუშაოები და ხობიჰესი 2-ის მშენებლობა. 2020 წლის 3 დეკემბრის საფრანგეთში, არბიტრაჟმა გამოიტანა ჯგუფისთვის/კომპანიისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება

საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა (გაგრძელება)

2018 წლის ბოლოს დამკვეთის მიერ, ოსიური-ჩუმათელეთის გზის მონაკვეთზე საავტომობილო გვირაბების მშენებლობის ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის გამო გამოწვეული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. ჯამში, არბიტრაჟის გადაწყვეტილებით, მოპასუხე კომპანიას დაეკისრა 4,048,019 ლარი, 290,972 ევრო, 285,195 აშშ დოლარი და 1,404 ფუნტი სტერლინგი. ჯგუფს/კომპანიას ამ ეტაპზე არ ამოუღია თანხები, თუმცა მიმდინარეობს აღსრულების სააგენტოში, როგორც საქართველოში, ასევე იტალიაში (მოპასუხის რეზიდენტობის ადგილზე) დოკუმენტაციების წარდგენა.

2022 წელს დაგეგმილია ონის რაიონში მდინარე რიონზე ჰესების კასკადის მშენებლობის დაწყება, იმ შემთხვევაში თუ სს „ონი კასკადმა“ მოასწრო მშენებლობის ნებართვის აღება 2022 წელს. ონი კასკადის დაგეგმილი დადგმული სიმძლავრე არის 206.16 მგტ (ONI-1 - 122.46 მგტ; ONI-2 - 83.7 მგტ).

ჰესების მშენებლობის დროს, ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს სამუშაოების წარმართვა ისე, რომ გარემოს რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიაღწეს. ამ რისკების შესამცირებლად, ჯგუფი/კომპანია პარტნიორობს ენერგეტიკულ სფეროში მოღვაწე ევროპულ კომპანიებთან.

მშენებლობის დაგეგმვის, დაპროექტების და განხორციელების ეტაპზე ჯგუფი/კომპანია მაქსიმალურად ცდილობს შეამციროს გარემოზე ზემოქმედება. ამისათვის, ჯგუფი/კომპანია თანამშრომლობს უცხოურ კომპანიებთან, ხოლო შტატში აყვანილია გარემოს დაცვის სპეციალისტიც. ჯგუფი/კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შრომის უსაფრთხოებას. ხარისხის, გარემოს დაცვის და შრომის უსაფრთხოების ეფექტურობისთვის ჯგუფს/კომპანიას მინიჭებული აქვს ISO 9001:2015, ISO 14001 და ISO OHSAS 18001 სერტიფიკატები.

ორგანიზაციული სტრუქტურა

ჯგუფის/კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა ეფექტურია ჯგუფის/კომპანიის მართვისა და მიზნების განსახორციელებლად.

განვითარების გეგმები

ჯგუფი/კომპანია ცდილობს საწარმოო პროცესი უფრო ეფექტური გახადოს. მენეჯმენტი მუდმივად ცდილობს და მომავალშიც აპირებს დანერგოს ახალ-ახალი ტექნოლოგიები. ახალი და ინოვაციური მიდგომები ეხება არამხოლოდ მანქანა-დანადგარებს, არამედ საწარმოო პროცესს და მის სრულყოფას. 2018 წელს ჯგუფმა/კომპანიამ დაიწყო ოსიური-ჩუმათელეთის გვირაბების პროექტი, სადაც დაგეგმილი იყო 5 გვირაბის მშენებლობა. ამ პროექტის ეფექტურად განხორციელების მიზნით 2018 წელს ჯგუფმა/კომპანიამ შეიძინა ახალი ტიპის, გერმანული ფირმა MHWirth GmbH-ის წარმოების გვირაბისმთხრელი ორი მანქანა. აღნიშნული მანქანები ამ ტიპის ქანების გასათხრელად იდეალური საშუალებაა. იგეგმებოდა ოპერატორების და სხვა მომსახურე პერსონალის დამატება-ტრენინგი. სამწუხაროდ პროექტის შეჩერების გამო, აღნიშნული ვერ განხორციელდა 2018 წელს. თუმცა, 2020 წელს, ამ მანქანების დახმარებით გაითხარა მტკვარიჰესის პროექტის ფარგლებში დამატებითი გვირაბი.

2021 წლის დასაწყისში ჯგუფმა/კომპანიამ დაასრულა ახალციხის გვირაბის პროექტი. დაგეგმილი ონის ჰესების კასკადის მშენებლობისათვის უნდა გაითხაროს 2 გვირაბი. ამ მიზნისათვის ჯგუფმა/კომპანიამ 2017 წელს შეისყიდა გერმანული კომპანიის Herrenknecht-ის წარმოების გვირაბგამყვანი მანქანა ე.წ. TBM. აღნიშნული დანადგარის მეშვეობით ჯგუფმა/კომპანიამ განახორციელა მტკვარიჰესის გვირაბის პროექტი, რომლის დასრულების შემდგომ იგეგმება მისი შესაბამის კონდიციებში მოყვანა და ონი ჰესის მშენებლობაზე მისი გამოყენება. ის ფაქტი, რომ მანქანა საქართველოშია და მუშა კონდიციაშია, თან მის ექსპლუატაციას ეწევიან ჯგუფის/კომპანიის სპეციალისტები, ძალიან დიდი მატერიალურ და დროით შეღავათს გამოიწვევს. ჯგუფი/კომპანია განსაკუთრებით ყურადღებას უთმობს შრომის უსაფრთხოებას და გამოყენებული სამშენებლო მასალების წარმოშობასა და ხარისხს.

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ

ჯგუფს/კომპანიას, საქმიანობის სფეროდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, არ გააჩნია ფილიალები. შესაბამისად, ფილიალების საქმიანობის შესახებ კვლევა არ ჩატარებულა.

კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები

ჯგუფს/კომპანიას, საქმიანობის სფეროდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, ჯგუფი/კომპანია არ ატარებს კვლევების და განვითარების სფეროში სამუშაოებს. შესაბამისად, კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების შესახებ კვლევა არ ჩატარებულა.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

ჯგუფი/კომპანია არ არის სააქციო საზოგადოება. მას არ აქვს გამოშვებული საკუთარი აქციები. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებით ჯგუფს/კომპანიას კვლევა არ ჩატარებია.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

იმაზე, რომ ჯგუფს/კომპანიას აქვს თავისი საქმიანობის გაფართოების გრძელვადიანი და დაგეგმილი სტრატეგია, მიუთითებს მთლიან აქტივებში გრძელვადიანი აქტივების წილი როგორც კონსოლიდირებული და ინდივიდუალური - 57% (2019 წლის 31 დეკემბრისთვის - 80%, ხოლო 2019 წლის 1 იანვრისთვის - 77%). ინდივიდუალურ ანგარიშგებაში გრძელვადიან აქტივების დაახლოებით ნახევარი არის ძირითადი საშუალებები - 42,146 ათასი ლარი (2019 წლის 31 დეკემბრისთვის - 48,017 ათასი ლარი, ხოლო 2019 წლის 1 იანვრისთვის - 50,859 ათასი ლარი). კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში გრძელვადიან აქტივების დაახლოებით ნახევარი არის ძირითადი საშუალებები - 43,221 ათასი ლარი (კონსოლიდირებული იგივე როგორც ინდივიდუალური). ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ინვესტიციები შეადგენს 9,247 ათას ლარს (2019 წლის 31 დეკემბრისთვის - 21,375 ათას ლარი, ხოლო 2019 წლის 1 იანვრისთვის - 19,157 ათასი ლარი). კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ინვესტიციები შეადგენს 7,718 ათას ლარს (კონსოლიდირებული იგივე როგორც ინდივიდუალური). გრძელვადიანი აქტივების ასეთი დიდი მოცულობა ჯგუფს/კომპანიას საშუალებას აძლევს მარტივად მოიზიდოს სახსრები მიმდინარე პროექტების დასაფინანსებლად.

ამ მოცულობის გრძელვადიანი აქტივების ფლობის მიუხედავად, ინდივიდუალურ ანგარიშგებაში საწარმოს მოკლევადიანი აქტივების შეფარდება მოკლევადიან ვალდებულებებთან 1-ზე მეტია - 1,55 (2019 წლის 31 დეკემბრისთვის - 0,97, ხოლო 2019 წლის 1 იანვრისთვის - 0,94). კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ჯგუფის მოკლევადიანი აქტივების შეფარდება მოკლევადიან ვალდებულებებთან 1-ზე მეტია - 1,16 (2019 წლის 31 დეკემბრისთვის - 0,97, ხოლო 2019 წლის 1 იანვრისთვის - 0,94).

ჯგუფი/კომპანია ბოლო წლებია ყოველ წელს გადის მოგებაზე. 2020 წელს ინდივიდუალურმა საოპერაციო მოგებამ შეადგინა 15,505 ათასი ლარი, კონსოლიდირებულმა - 15,589 ათასი ლარი (2019 წელს ინდივიდუალური და კონსოლიდირებული - 1,333 ათასი ლარი).

ასეთი მონაცემები საშუალებას იძლევა განხორციელდეს არამხოლოდ საკუთარი პროექტების დაფინანსება, არამედ ინვესტიციების განხორციელებაც. გარდა ამისა, მდგრადი და დადებითი მაჩვენებლები ჯგუფის/კომპანიის მიმართ ნდობას ამყარებს არამხოლოდ სავაჭრო პარტნიორების, არამედ საფინანსო ინსტიტუტების თვალშიც.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაახლოებით 80'000'000 ლარზე გაცემული იყო საბანკო გარანტია.

მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები, აგრეთვე ასეთი ტიპის გამოცდილების და სიმდიერის მქონე ქართულ კომპანიებზე ბაზარზე არსებული მოთხოვნა, იძლევა საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები მომავალ წელსაც იქნება მდგრადი და პოზიტიური ცვლილებით.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

ჯგუფი/კომპანია მუდმივად ცდილობს დროულად მოიზიდოს პროექტის განსახორციელებლად აუცილებელი რესურსები, რათა თავიდან აიცილოს შემდგომში შესაძლო რისკები. ეს შეეხება, ვალუტის კურსის შესაძლო ცვლილებას, პროდუქციის გაძვირებას, შეფერხებას მოწოდების დროს და სხვა მსგავს რისკებს. გარდა ამისა, ჯგუფს/საწარმოს გააჩნია საკუთარი საამქრო, საწარმოო ბაზა, ქვისამსხვრევეები და ბეტონის ქარხნები, სადაც ხდება მშენებლობისთვის საჭირო კონკრეტული დეტალების და პროდუქციის საკუთარი ძალებით დამზადება. ეს მნიშვნელოვნად ამცირებს დანახარჯებს.

2020 წელს ჯგუფში/კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 611 ადამიანს (2019 წელს - 588 ადამიანი), მათზე გაცემულმა ანაზღაურებამ შეადგინა 7,879 ათასი ლარი (2019 წელს - 5,654 ათასი ლარი). ჯგუფი/კომპანია მაქსიმალურად უფროხილდება და ცდილობს, არამხოლოდ შეინარჩუნოს, არამედ თვითონვე გამოზარდოს საკუთარი სპეციალისტები. საწარმოში ხშირად ხდება და მომავალშიც იგეგმება თანამშრომელთა დაწინაურება-წახალისება.

ძირითადი რისკების და რისკების მართვის პოლიტიკის მიმოხილვა

2020 წლის თებერვალი-მარტის თვიდან მსოფლიოში დაიწყო ახალი კორონავირუსი COVID-19-ის გავრცელება. აღნიშნულმა გლობალურმა პანდემიამ გამოიწვია ეკონომიკური აქტივობების შემცირება და ეკონომიკური კრიზისი. ჯგუფმა/კომპანიამ სწრაფად აულო ალლო ახალ რეალობას. პირველ რიგში თანამშრომელთა უსაფრთხოების კუთხით გატარდა საქართველოს მთავრობის მიერ რეკომენდირებული პროცედურები. აღნიშნული მოიცავდა, სათაო ოფისის დისტანციურად მუშაობას, თანამშრომელთა გარკვეული კატეგორიის ობიექტებიდან მოხსნას, დეზობარიერების დამონტაჟებას, შესაბამისი ხსნარებით საცხოვრებელი და სამუშაო ტერიტორიების დასუფთავებას, სამუშაოს დაწყების და დამთავრების დროს თანამშრომელთა კონტროლს თერმოსკრინინგით. ჩვენი მიმდინარე პროექტები შეჩერებული იყო მხოლოდ 3 კვირის განმავლობაში.

აღნიშნულმა ჯგუფს/კომპანიას საშუალება მისცა სრულად არ შეეჩერებინა სამუშაოები, შესაბამისად მიეღო შემოსავლები და ამ პანდემიის გამო არ მომხდარა არც თანამშრომლების განთავისუფლება და არც მათთვის ხელფასების შემცირება. მენეჯმენტის მოქნილობის, სწორი გადაწყვეტილებებისა და მუშაობის შედეგად ჯგუფზე/კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია COVID 19-ის გამო დაწესებულ შეზღუდვებს.

ჯგუფის/კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე ძირითადი ფინანსური რისკები არის: საოპერაციო, საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთის და ვალუტის კურსის რისკები.

საოპერაციო რისკი არის ჯგუფისთვის/კომპანიისთვის ზარალის რისკი, თუ ჯგუფი/კომპანია ვერ მოახერხებს სამუშაოების დამკვეთებთან წარმატებულ მოლაპარაკებებს სამშენებლო კონტრაქტების გაფორმების თვალსაზრისით. მნიშვნელოვანი რისკია, წედილულის და მასალების ფასების ზრდა. ვინაიდან საქართველოს შიდა ბაზარი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმპორტზე, ამიტომ, ამ რისკების მინიმიზების მიზნით ჯგუფი/კომპანია ცდილობს ხელშეკრულებები გააფორმოს უცხოურ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული ეროვნული კურსის მიხედვით ანაზღაურების პირობით. სხვა რისკებთან შედარებით ნაკლები, თუმცა საყურადღებო რისკია

ჯგუფისთვის/კომპანიისთვის მნიშვნელოვანი თანამშრომლების სამსახურიდან წასვლა. თანამშრომელთა შენარჩუნებისთვის ტარდება შემდეგი ღონისძიებები: სამსახურობრივი დაწინაურება, ახალი პროფესიის ათვისებაში ან პროფილის შეცვლაში დახმარება, პრემიების გაცემა, სახელფასო სარგოს მომატება. ღონისძიებები ტარდება ან კომბინირებულად, ან ცალ-ცალკე.

საკრედიტო რისკი არის ჯგუფისთვის/კომპანიისთვის ფინანსური ზარალის რისკი, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის პარტნიორი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. ჯგუფის/კომპანიის მიდგომის მიხედვით, ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო ექსპოზიციას. ასეთი საკრედიტო რეიტინგები გათვალისწინებულია ადგილობრივი ბიზნესის პრაქტიკის მიხედვით.

წლების მიხედვით ის გამოიყურება შემდეგნაირად:

	2020	2019
გაცემული სესხი	41,048	27,725
მოთხოვნები	24,485	8,286
ფული და ფულადი ექვივალენტი	8,731	2,377
	74,264	38,388

მენეჯმენტი განსაზღვრავს საკრედიტო რისკის კონცენტრაციას, დებიტორული დავალებების ანალიზების ყოველთვიური მიმოხილვით.

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ შემცირდება ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება, საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. ეს არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები მერყეობდეს საპროცენტო განაკვეთების ცვლილების და სავალუტო კურსების ცვლილების გამო. ეს რისკები ქვემოთ განხილულია ცალ-ცალკე.

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ცვალებადი იქნება ვალუტის კურსის ცვლილების გამო. ჯგუფი/კომპანია ექვემდებარება უცხოური ვალუტის კურსების რყევების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი ნაკადების მიმართ. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ჯგუფის/კომპანიის მგრძნობელობა აშშ დოლარის და ევროს კურსის ლარის მიმართ მიმართ 20% – მდე გაზრდით და შემცირებით.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

20% არის მგრძნობელობის მაჩვენებელი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტისთვის უცხოური ვალუტის რისკის შიდა ანგარიშგებისას და წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას უცხოური ვალუტის კურსის შესაძლო ცვლილების შესახებ. მგრძნობელობის ანალიზში შედის მხოლოდ სავალუტო ფულადი სახსრების უცხოური ვალუტის მუხლები და გადაითვლის მათ პერიოდის ბოლოსთვის, უცხოური ვალუტის კურსების 20% -იანი ცვლილებით. გავლენა წმინდა მოგებასა და კაპიტალზე 2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია დაბლა ცხრილში:

	2020	2020	2019	2019
	+20%	-20%	+20%	-20%
სავალუტო კურსის მერყეობა				
USD გავლენა	11,334	(11,334)	5,504	(5,504)
EUR გავლენა	(604)	604	(691)	691

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების შედეგად, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფის/კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაზე. ეს რისკი შეიძლება წარმოიშვას აქტივების და ვალდებულებების შესაბამისობის, აგრეთვე ასეთი აქტივების და ვალდებულებების ხელახალი გადაფასებისაგან.

ჯგუფის/კომპანიის პროცენტული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ფიქსირდება საპროცენტო განაკვეთებით, ამიტომ მენეჯმენტი თვლის, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გონივრულმა ზრდამ ან შემცირებამ არ გამოავლინა ჯგუფის/კომპანიის კაპიტალის მნიშვნელოვანი პოტენციური ეფექტი.

ლიკვიდობის რისკი ეხება საკმარისი თანხების ხელმისაწვდომობას სესხის დაფარვისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან, რადგან ისინი, ფაქტობრივად, გამოდიან.

ლიკვიდობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი/კომპანია ახორციელებს მომავალში ფულადი სახსრების ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც აქტივების / ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია.

ჯგუფის/კომპანიის შეხედულებით კაპიტალი არის საწესდებო კაპიტალი და დაგროვილი მოგება/ზარალი. მენეჯმენტი თავის როლს ხედავს, როგორც კორპორატიული ხელმძღვანელების როლს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კაპიტალის შენარჩუნებასა და ზრდაზე, ასევე აქციონერებისთვის ადეკვატური ანაზღაურების წარმოქმნაზე.

კაპიტალის შენარჩუნებისას ჯგუფის/კომპანიის მიზნები არის:

- დაცვას ჯგუფის/კომპანიის საქმიანობის განგრძობითობა, ისე, რომ მას შეეძლოს გააგრძელოს აქციონერებისთვის განაცემების გაცემის უზრუნველყოფა.
- უზრუნველყოს აქციონერთათვის რისკების დონის შესაბამისად ადეკვატური განაცემების გაცემა.

ჯგუფი/კომპანია ადგენს საჭირო კაპიტალის რაოდენობას რისკის პროპორციულად. ჯგუფი/კომპანია მართავს მის კაპიტალურ სტრუქტურას და ახდენს მასში ცვლილებების შეტანას ეკონომიკური პირობების ცვლილებისა და ძირითადი აქტივების რისკის მახასიათებლების გათვალისწინებით.

სტრატეგიული და კომერციული რისკები არ არის გამოკვლეული.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 1 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი



იოსებ მჭედლიშვილი

ფინანსური დირექტორი



კახაბერ შევარდნაძე

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

20% არის მგრძნობელობის მაჩვენებელი, რომელიც გამოიყენება მენეჯმენტისთვის უცხოური ვალუტის რისკის შიდა ანგარიშგებისას და წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას უცხოური ვალუტის კურსის შესაძლო ცვლილების შესახებ. მგრძნობელობის ანალიზში შედის მხოლოდ სავალუტო ფულადი სახსრების უცხოური ვალუტის მუხლები და გადაითვლის მათ პერიოდის ბოლოსთვის, უცხოური ვალუტის კურსების 20% -იანი ცვლილებით. გავლენა წმინდა მოგებასა და კაპიტალზე 2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია დაბლა ცხრილში:

	2020	2020	2019	2019
	+20%	-20%	+20%	-20%
სავალუტო კურსის მერყეობა				
USD გავლენა	11,334	(11,334)	5,504	(5,504)
EUR გავლენა	(604)	604	(691)	691

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების შედეგად, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფის/კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაზე. ეს რისკი შეიძლება წარმოიშვას აქტივების და ვალდებულებების შეუსაბამობის, აგრეთვე ასეთი აქტივების და ვალდებულებების ხელახალი გადაფასებისაგან.

ჯგუფის/კომპანიის პროცენტული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ფიქსირდება საპროცენტო განაკვეთებით, ამიტომ მენეჯმენტი თვლის, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების გონივრულმა ზრდამ ან შემცირებამ არ გამოავლინა ჯგუფის/კომპანიის კაპიტალის მნიშვნელოვანი პოტენციური ეფექტი.

ლიკვიდობის რისკი ეხება საკმარისი თანხების ხელმისაწვდომობას სესხის დაფარვისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან, რადგან ისინი, ფაქტობრივად, გამოდიან.

ლიკვიდობის რისკის მართვის მიზნით, ჯგუფი/კომპანია ახორციელებს მომავალში ფულადი სახსრების ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც აქტივების / ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია.

ჯგუფის/კომპანიის შეხედულებით კაპიტალი არის საწესდებო კაპიტალი და დაგროვილი მოგება/ზარალი. მენეჯმენტი თავის როლს ხედავს, როგორც კორპორატიული ხელმძღვანელების როლს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კაპიტალის შენარჩუნებასა და ზრდაზე, ასევე აქციონერებისთვის ადეკვატური ანაზღაურების წარმოქმნაზე.

კაპიტალის შენარჩუნებისას ჯგუფის/კომპანიის მიზნები არის:

- დაიცვას ჯგუფის/კომპანიის საქმიანობის განგრძობითობა, ისე, რომ მას შეეძლოს გააგრძელოს აქციონერებისთვის განაცემების გაცემის უზრუნველყოფა.
- უზრუნველყოს აქციონერთათვის რისკების დონის შესაბამისად ადეკვატური განაცემების გაცემა.

ჯგუფი/კომპანია ადგენს საჭირო კაპიტალის რაოდენობას რისკის პროპორციულად. ჯგუფი/კომპანია მართავს მის კაპიტალურ სტრუქტურას და ახდენს მასში ცვლილებების შეტანას ეკონომიკური პირობების ცვლილებისა და ძირითადი აქტივების რისკის მახასიათებლების გათვალისწინებით.

სტრატეგიული და კომერციული რისკები არ არის გამოკვლეული.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 1 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

იოსებ მჭედლიშვილი

ფინანსური დირექტორი

კახაბერ შვევარდნაძე